„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. - 4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. სტრიქონი ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის სივრცეზედ.

თუ ხელწერილი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაბეჭდვად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.**

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ჩვენი ცხენის-რკინის გზა გადავიდა ბელგიის კამპანიის—Le crédit général de Belgique ხელში; «კონკის» ახალმა დირექტორმა ბ-ნმა რადლემ და ადრინდელმა პატრონებმა, ქალაქმა და შევცევმა ურთიერთ შორის საქმე გაათავეს კიდეც და ცხენ-რკინის გზა დღეიდამ გადავიდა ბატონი რადლეს ხელში, რომელიც ცნობილია ბევრის კარგის ცხენ-რკინის გზების გაკეთებით. ქალაქის რჩევამ დაამტკიცა პირობა ახალისა და ძველის პატრონებ შორის; ჩვენის ცხენ-რკინის გზას ძველმა პატრონებმა მიიღეს მილიონ-ნახევარი მან.

⊖⊖⊖ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გაუგზავნა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორებს პ. გ. მელიქიშვილს და ვ. მ. პეტრიაშვილს თ. ი. კ. მუხრან-ბატონის ბაღის ღვინოები მათი თვისების შესამოწმებლად. ხსენებულს პროფესორებს თვით მიუციათ წინადადება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ ისინი მზად არიან ყოველთვის უსასყიდლოდ გამოიკვლიონ კავკასიის ღვინოების თვისება და უჩვენონ საშუალებანი, თუ როგორ გააუმჯობესონ მათი ღირსება.

⊖⊖⊖ გაზეთი «ნოვოსტი» ამბობს, რომ შვეციაში, რუსის სანაოსნო-საზოგადოების შეკვეთით, დაუწყიათ შენობა გემის «სინათლისა», რომლის დანიშნულებაც ის იქნება, რომ შავი ზღვის ნავთ-საყუდრების შორის ნავთი ზიდოს. ამ გემზე მოწყობილია რამოდენიმე ჭურჭელი, რომელთაგან თითოში 6,700 ფუთი ნავთი ჩადისო.

⊖⊖⊖ ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის სამმართველოს უკვე მიუღია საგუბერნიო ხაზინიდამ 50,000 მან., რომლიდამაც უნდა მიეცეთ სამხედრო უწყებაში მოსამსახურე პირთ სადგურის ფული.

⊖⊖⊖ ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა სტამბოლიდამ სტამბოლის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი მურად-ბეი, რომელიც დაღისტანში მიდის და განზრახვა აქვს შეკრიბოს მასალა ოსმალეთის ისტორიისათვის, რომლის წერასაც უკვე შესდგომია. მურად-ბეიმ კარგად იცის რუსული ენა და რუსული ლიტერატურა ძალიან უყვარს. მან გადათარგმნა ოსმალურს ენაზედ გრიბოედოვის კომედია «უბედური ჭკუისაგან». გაზეთი «კავკაზი» უმატებს, ვითომ მურად-ბეის ეთქვას, რომ რუსული ლიტერატურა უფრო მაღლა იდგეს დასავლეთის ლიტერატურაზედ და უფრო გამოსადეგი იყოს იმის თანამემამულეთა გონების გასავითარებლადო.

⊖⊖⊖ ჩვენი ოფიციალური ორგანი «კავკაზი» სავსეა ყოველ-დღე იმისთანა ცნობებით, რომ ამა-და-ამ ექიმმა ან პოლიციამ ამდენ-ამდენი ფუთი ხილი უვარგისობის გამო წყალში გადააყრევინაო. ეს ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ [illegible] ბა რესტორანებს და დუქნებსაც მიაქციონ ხოლმე ყურადღება, სადაც სამი და ოთხი დღის საჭმელები იყიდება.

⊖⊖⊖ თიანეთიდამ გვწერენ, რომ იქ საქონელს ჭირი მუსრს ავლებს. ერთს ფშაველს ოთხმოცი სული საქონელი დახოცია.

⊖⊖⊖ «მწყემსს» სწერენ (№ 17) ახალსენაკიდამ: «ჩვენს სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელს შარშან ორ გზის წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ორივეჯელ გადარჩა დაწვისაგან. დაინიშნა გამოძიება ამის შესახებ პოლიციის და ადმინისტრაციის მხრით და, ბევრი ძიების შემდეგ, გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ, ვითომც, სასწავლებლის მოწაფენი უნდა ყოფილიყვნენ დამნაშავენი ამ საზიზღარ საქმეში. მაგრამ ესეთი დასკვნა, ჩვენის აზრით, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან ამისთანა გამბედაობას შაგირდები ვერ იზამდენ და ან რას უნდა აეძულებია ისინი, რომ ამისთანა საზიზღარი საქმე ჩაედინათ? აქ უფრო სხვა მიზეზისთვის უნდა მიექციათ ყურადღება. ჩვენც რომ ამ გვარის დაწამების გუნებაზედ ვიყოთ ამ ბოროტ-მოქმედების შესახებ ამის თაობაზედ ერთ-ერთს დასს, რომელიც სცდილობს სასწავლებელი ახალ-სენაკიდამ გადაი-

---

## ძველი ქართული ოჯახი

(წერილი მესამე.)

ვიდრე დედა-კაცის საოჯახო მდგომარეობაზედ ვილაპარაკებდეთ, საჭიროა მკითხველმა იცოდეს—საზოგადოდ რა მნიშვნელობას აძლევს კანონი დედა-კაცს, რა ნაირად უცქერის მას. აქ სჯა იურიდიულს ნიადაგს არ უნდა ასცილდეს, სხვა გზას არ უნდა დაადგეს, აი თუნდა იმ გზას, რომელსაც მისდევს ხსენებული ავტორი «ისტორიული სურათებისა». რამდენიმე ფაქტი და თუნდა მრავალიც, ამოღებული ხალხის ცხოვრებიდამ დედა-კაცის პოლიტიკური მნიშვნელობის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ არ ამტკიცებს მის შესაფერს იურიდიულს მნიშვნელობას, როგორც საზოგადოდ არ ამტკიცებს ეგრეთვე თვითეულის დედა-კაცის (ან უმრავლესობის) პოლიტიკურს მნიშვნელობასაც. პირველად, დედა-კაცის გავლენა პოლიტიკურს ან სახელმწიფო საქმეებზედ სხვაა და მისი იურიდიული მნიშვნელობა კიდევ სხვა; მეორედ—პოლიტიკური გავლენა ჰქონია ჩვენში საზოგადოდ ყველა ქალს კი არა, არამედ თითოოროლას. კანონი კი, როცა ლაპარაკობს დედა-კაცის მდგომარეობაზედ, მის მნიშვნელობაზედ, იგულისხმებს ყველა დედა-კაცს საზოგადოდ და თვითეულს კერძოდ. როგორ სჯის კანონი ამ საგანზედ?

შემდეგ ბიზანტიის რელიგიური განათლების დანერგვისა საქართველოში, ჩვენი დედაკაცის მდგომარეობაზედ დიდი გავლენა იქონია საეკლესიო უფლებამ. ეს უკანასკნელი ხომ ამცირებდა საზოგადოდ ქალის პიროვნულს მნიშვნელობას [54]). საეკლესიო უფლებამ ჯერ თვით ბიზანტიაშიც საკუთარი ფერი დასდო, განსხვავებული მიმართულება მისცა საერო სამართალს საზოგადოდ და ცოლ-ქმრობრივს ურთი-ერთობას კერძოდ და, რასაკვირველია, ესეთსავე ზედ მოქმედებას იქონიებდა ჩვენშიც, მეტადრე ცოლ-ქმრობრივს ურთი-ერთობაზედ და დედაკაცის საოჯახო მდგომარეობაზედ. ბერძული სამართალი ხომ მეტად ამცირებდა დედაკაცის მნიშვნელობას, მეტად ვიწრო სარბიელში აყენებდა მის მოქმედებას, რადგანაც ამ სამართლის შეხედულობით დედაკაცს—... «არც სხვა საქმე ეკითხვის სახლის მოვლის მეტი» (ბერძ. სამ. მუხ. პდ), მაგრამ ოჯახის ოთხ კედელ-შუაც-კი დედა-კაცს არა ჰქონდა ის გავლენა, რომელიც მას ბუნებით ეკუთვნის, მას არა ვითარიმე მშობლიური ძალა არა მოეპოვებოდა შვილების შესახებ,—«დედანი შვილთა თვისთა ბოროტსა ნუ უყოფენ, არცარა ჯერ არს, არამედ მხოლოდ მამასა აქვს ხელმწიფება შვილთა თვისთა ზედა ავის ქმნა, გინა კარგისა» (იქვე მუხ. პზ). რასაკვირველია, თუ ოჯახში დედა-კაცის მოღვაწეობა «სახლის მოვლის» იქით ვერ სცილდებოდა, ოჯახის გარედ ხომ იგი უფრო ხელ-შეკრული იყო. ასე გასინჯეთ, დედაკაცს ყოველთვისაც-კი არ შეეძლო სასამართლოში ეჩივლნა. ამ ჩივილის ნებას კანონი აძლევდა მას მხოლოდ მაშინ, როცა მოუკლავდენ მამას, შვილს, ბატონს და ნათესავს,.. «თუ სხვისა რისთვისმე მივიდეს, ნუ გაუგონებენ» (მუხ. პმ) რისთვის?—მისთვის, რომ, პირველად «დედა-კაცის მთხრობლობა არა ჯერა არს, არცა კარგზედა და არცა ავზედა (მუხ. ტლზ; ეგრეთვე მუხ. ტლგ.), მეორედ «არც მოწმობა დაიჯერება» (მუხ. რმც). ამ შემთხვევაში იურიდიული სიღარიბე დედა-კაცისა (თუ შეიძლება ასე ითქვას) და ნივთიერი სიღარიბე კაცისა ერთი და იგივე იყო, ორთავეს ერთნაირი შედეგი ჰქონდათ,—«ღარიბთა კაცთა მოწმობა არ დაეჯერება», თუმცა ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ «ღარიბი ის არის, ვისაც სამი ათასი თეთრი არა ჰქონდეს» (მუხ. რნბ). ეს იურიდიული სიღარიბე დედა-კაცისა ცხადად სჩანს იმიდგანაც, რომ ამ საბრალო არსებას ნებაც-კი არა ჰქონდა თავისი პატივი დაეცვა, სულ ერთია საფუძვლიანად სჩიოდა იგი, თუ უსაფუძვლოდ: «უკეთუ დედა-კაცი მოსამართლესთან მივიდეს და მოახსენოს ამ კაცმა ჩემთან იმრუშაო, ნუ ირწმუნებენ მოსამართლენი» (მუხ. პე). სხვა გვარს იურიდიულს ურთიერთობაშიც დედა-კაცი ხელ-შეკრული იყო; მაგ., «დედა-კაცი არაოდეს არავისგან თავდებად არ დაიყენების» (მუხ. სე; იხილე ეგრეთვე მუხლნი სვ, სზ.), არც თავისის ქმრის თავდებად—«უკეთუ დედა-კაცი თავისის ქმრის თავდებად დადგეს რისთვისმე, ნუ ირწმუნებენ» (მუხ. პთ). კერძო მაგალითების ჩამოთვლას თავი რომ დავანებოთ და სამართლის საზოგადო ხასიათს და მიმართულებას მივმართოთ, ერთი დედა-აზრი უნდა დავსძინოთ: ბერძნული სამართალი უცქერის დედა კაცს როგორც სუსტს და უძლურს არსებას, რომლისათვისაც მუდამ საჭიროა მფარველობა, შემწეობა, სხვის ხელმძღვანელობა.

როგორც უკვე შევნიშნეთ, ამ გვარი შეხედულობა დედა-კაცის მნიშვნელობაზედ ბევრად შედეგი იყო ბიზანტიის საეკლესიო დოგმატიზმისა.

[54]) Мэнъ, стр. 123-126.

ტანონ სადმე. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ამ გვარ უსაფუძვლო ბრალდებისაგან. მიზეზი ამ სასწავლებლის რღვევისა ახალ-სენაკში, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ზოგიერთთა ეს სასწავლებელი ისევ მარტვილში უნდათ გადიტანონ, რადგან იქ უფრო კარგი ჰაერია და წყალი. მოწინააღმდეგეთ საბუთად მოჰყავსთ ახალ-სენაკში წყლის და ჰაერის უვარგისობა. მართალია, ახალ-სენაკში წინედ ჰაერი ცუდი ყოფილა, მაგრამ ეხლა, როგორც ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ჰაერი შესამჩნევად გაუმჯობესდა. რაც შეეხება წყლის ღირსებას, წყალიც ნაკლებია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაცია და ეცდება, რომ მდინარე ტეხურიდამ, რომელიც ძალიან დაშორებული არ არის ახალ სენაკზე, წყალი დადმოიყვანოს. ამის შესახებ კიდეც ლაპარაკობენ ეხლა და შემდეგში იმედია, კიდეც შეასრულებენ ამ განზრახვას. თუ ეს განზრახვა შესრულდა, მაშინ ახალ სენაკში ჰაერიც გაუმჯობესდება. რომ ჰაერი უმეტეს ნაწილად სოფლებში უფრო უკეთესია, ვინემ ქალაქებში, ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის, მაგრამ ყველა სასწავლებლების ქალაქებიდამ სოფლებში გადატანა შესაძლებელი არ არის».

მაგრამ, ჩვენც ვეტყვით «მწყემსის» სენაკელ კორესპონდენტს რაკი დღეს ახალ-სენაკში კარგი წყალი სულ არ ყოფილა, ჰაერიც მხოლოდ გაუმჯობესდებაო, რატომ ყურადღებაში არ უნდა იყოს მისაღები, რომ სასწავლებელი ხელ-ახლად დაუბრუნდეს მარტვილს.

*** მმართველობისაგან განსახილველად წარდგენილია ტფილისის თავად-აზნაურთ შუამდგომლობა მასზედ, რომ ტფილისში რაც შეიძლება მალე გაიხსნას თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება. («მოსკ. უწყ.»)

---

## «დროების» კორესპონდენცია

—

**ს. ცხუნკური, (ქუთაისის მაზრა) აგვისტოს 26-ს. ს. ცხუნკური სძევს ქ. ქუთაისიდამ ოცი ვერსის მანძილზედ.** სოფელი შემკულია მთა გორიანი ადგილებით, საიდამაც გადმოსჩქეფენ კამკამი წყაროები და რწყავენ, როგორც სოფელს, ისე მის მიდამო მდებარე სახნავ-სათეს ადგილებს მიწა ამ სოფელში შავი და ნაყოფიანია, ასე რომ თუ კაცს ცუდაობა არ უყვარს, ის უსათუოდ იპოვის ცხოვრების სახსარს. მოჰყავთ აქ სიმინდი, ღომი, ფეტვი, პური და ღვინო, რომელიც შედარებით ზემოურ უიფიანის ღვინოებთან ნაკლებია და ორ წელიწადს ზევით ვერა სძლებს. ამას გარდა აქაური მცხოვრებნი ძალიან ეტანებიან მთის მუშაობას, რადგანაც მთა ახლოს აქვთ და დიდ მოგებასაც პოულობენ მასში; მთის მუშაობას კიდევ უფრო უადვილებსთ მდინარე ცხენის წყალი, რომელიც იქავ გვერდით ჩამოურბის ამ მთას. ეს მდინარე უფრო მომეტებულ სარგებლობას და შეღავათს მისცემდა ხალხს ხე-ტყეს კადატან-გადმოტანაში, თუ რომ მასში ნავის მოძრაობა შეიძლებოდეს; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ნამეტნავათ ჩქარია და ქვებიანი, ამისათვის ხე-ტყეს შიგ ჰყრიან სათითაოდ და ეს ბევრს მუშა-ხელს თხოულობს (ისინი ჰყიდიან ხე-ტყეს როგორც შეუმუშავებელს, ისე შემუშავებულს სახლად დადგმულს, უფრო დაბა ხონში და მის მიდამო მდებარე სოფლების მცხოვრებლებზე. სანამ ჩვენებურ გლეხებს ეს ტყე აქვთ, მინამ მათს ბედს, როგორც იტყვიან, ძაღლი არ დაჰყეფს, მაგრამ ვაი მათი ბრალი, როდესაც გამოელევათ და რომ დიდი ხანი არ გაივლის მანამდის, ეს ცხადია, რადგანაც საშინლად უდიერად სჩეხენ ტყეს.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, — რომ ამ სოფელში ხალხი დაკმაყოფილებული უნდა იყოს მატერიალურის მხრივ, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება, რადგანაც შრომა ჩვენი გლეხებისაა და ნაყოფი კი სხვისა.

**თ**უმცა მიდამო სოფლებს ისეთი მუშა ხალხი ასხია, რომელნიც მუდამ საჭიროებენ თავიანთი ნაწარმოების გადატან-გადმოტანას, მაგრამ მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ისინი უგზო-უკვალონი არიან. ვაი იმას, ვისაც რაიმე შემთხვევით მოუხდება ამ სოფლებზე მოგზაურობა. ქვეით მოგზაურს კიდევ არა უჭირს თუმცა ფეხის თითებს კი დაიმტვრევს ქვებზე, უნდა იღარდოს ცხენოსანმა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზედ უბედურება მოელის, — ან ცხენი დაიჩეხება და ან თვითონ. რაც შეეხება ეკიპაჟის მიმოსვლას ამ სოფლებში, ამაზედ სიტყვაც არ გვეთქმის. დიდი ხანია ამბობდენ, რომ სამეგრელოს თავადს ნიკოლოზ დავითის-ძე დადიანს, გზა-ტკეცილის გაყვანის განზრახვა აქვსო ქალაქ ქუთაისიდამ მის სასახლემდის სოფელს გორდში, მაგრამ ჯერ ეს აზრი სისრულეში არ მოსულა და იმედი კი გვაქვს, რომ თავის სამშობლოზე მუდამ გულ-შემატკივარი და მზრუნველი შემდეგში მაინც მოიყვანს სისრულეში თავის ყოვლად სასარგებლო აზრს და მით შეღავათს მისცემს ამ სოფლებში მისვლა-მოსვლისას. ამ დროებით კი გამოჩნდა კაცი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სოფლის გზის შეკეთებას, — ეს არის გახლავთ მოხუცი მღვდელი მ. იოანე გორდელაძე. ამ პატიოსანმა მოხუცმა აიღო თავის თავზე ყველაფერი ხარჯი, რაც კი ქვის სატეხ წამალს და მუშას მოუნდებოდა. სოფელმა მხოლოდ გზიდამ დამტვრეული ქვები უნდა გადაყაროს, რაზედაც მღვდელმა გორდელაძემ დახმარება სთხოვა ს. მამასახლის, მაგრამ მან არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინა, რადგანაც ამ საქმეში თავის პირად სარგებლობას ვერა ჰპოვებდა.

უგზოობის გარდა ამ საზოგადოების შესამჩნევ ნაკლს შეადგენს სკოლის უქონლობა, თუმცა საზოგადოება კი შესდგება არა ნაკლებ 600-700 კომლისაგან. დიდიხანია მას აქედ, რაც სკოლის საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი ცოტათი მაინც დაწინაურებულმა პირებმა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მათი ღაღადება დარჩა «ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა». პირველად სკოლის საქმეზე აღამაღლა ხმა ქუთაისის მაზრის უფროსის

---

და ეს დოგმატიზმი ხომ უმეტესად ჰქადაგებდა ჩვენს ცოდვილს ბუნებაზედ, ლამობდა გაევრცელებინა კაცთა საზოგადოებაში ასეთი უკიდურესი მიმართულება, როგორც არის, მაგ., ასკეტიზმი და სხვ. სადაც აღორძინდა და სამუდამოდ დაგვირგვინდა ეს მიმართულება, იქ, რასაკვირველია, ვერ აყვავდებოდა დედა-კაცის პიროვნული მნიშვნელობა; უეჭველია, აქ სხვა მიზეზებსაც ადგილი ჰქონდათ და თუ ჩვენ მხოლოდ ერთი მათგანი ვუჩვენეთ, ეს იმიტომ, რომ მან იმოქმედა ჩვენს სამართალზედ.

მართალია, ვახტანგის სამართალი ისე ვრცლად არ ლაპარაკობს დედა-კაცის იურიდიულს მნიშვნელობაზე, როგორც ბერძნული და ეს არც საჭიროა, რადგანაც ჩვენის სამართლის ორიოდე მუხლიდამაც მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რომ იგი მოკლედ იმეორებს მას, რასაც ასე ვრცლად აღწერს ბერძნული კანონი აქ მათ შორის განსხვავება არაფერშია, ორთავენი ერთსა და იმავე შეხედულებას და აზრს მისდევენ, — ვახტანგის კანონიც მეტად ამცირებს დედაკაცის უფლებრივს ნიჭიერებას (правоспособность). . «მისის (ე. ი. დედაკაცის) ენით მოადს არც ფიცი დაედება, არცა რა წაერთმის, თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არის... (მ. ვახტ სამართალი, მუხ. სივ); ხოლო ამავე კანონის ორას ოცდა მეცხრამეტე მუხლი იმეორებს ბერძნული სამართლის აზრს (მუხ. რმთ), როცა ამბობს: «დედა-კაცს არ ეფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდების» . *) სომხური სამართალიც იმავე აზრისაა, როგორისაც ბერძნული და ვახტანგისა; მისის სიტყვით... «ყოველი დედა-კაცი ხომ ჭკუა ნაკლებია» (სომ. სამ. მუხ. ო) და ამის გამო «რიგმან არ მისცეს ბძანება დედა კაცსა თავდებობა და რაც საკაცოს საქმის მოქმედება» (იქვე მუხ. ოთ)

თუმცა ჩვენ მოკლედ განვმარტეთ დედა კაცის მცირე უფლებრივი ნიჭიერება, მაგრამ მაინც მკითხველი ადვილად შეიგნებს, რომ პიროვნულს ურთი-ერთობაში ცოლი დაბლა იდგა ქმარზე. ბერმანიული სისტემა, [55]). რომლის შეხედულობით ქმარი მხოლოდ მფარველი და მზრუნველია როგორც მთელის ოჯახისა, ისრე ცოლისა, და არა მათი სრული ბატონი, არ იპოვება ჩვენს საოჯახო დაწესებულებაში. აქ ბძანებლობს რომაელი სისტემა, თუმცა არც ეს სისტემა არის განხორციელებული მთელის თვისის ლოგიკურის სასტიკობით, თავისის სივრცით. აშკარად სჩანს, რომ დედა-კაცის პიროვნებამ ცოტათი მოიხვეჭა თავისუფლება, თუმცა კი სამუდამოდ ვერ მოიშორა თავიდამ მამა-კაცის ძველი ძალა. კიდეც ამიტომ კანონიც ყოყმანობს, გზას აქეთ იქით უხვევს, გარკვევით არ ამბობს — სად თავდება დედა-კაცის მონობა და სად იწყება მისი პიროვნული თავისუფლება. ხან კანონი ამ მონობას გვიჩვენებს, ზოგჯერ კი თავის მფარველობას არ აკლებს დედა-კაცს, მის პიროვნებას ესარჩლება. ერთის სიტყვით, დედა-კაცის პიროვნულს ზღუდეში თქვენ ვერ შეხვდებით განსაზღვრულს მიმართულებას, ერთს დედა-აზრს.

დედა-კაცის მცირე პიროვნული მნიშვნელობა იხატებოდა მით, რომ ქმარს ადვილად შეეძლო ცოლის დატოვება, დაგდება. ჯერ ისევ აღბუღას სამართალი უჩვენებს ამ მოვლენას, რომელიც შემდეგში ვახტანგმა გაიმეორა თავის კანონებში აღბუღას სამართლის ძალით ქმარს შეეძლო უმიზეზოდ *), მაშინაც კი, როცა კანონიერი საბუთი არა აქვს, დაეტეოს თავისი ცოლი მხოლოდ ერთის პირობით — დაუურავოს ნახევარი სისხლი და მთელი მზითევი (მუხ. ლ.); ცოლს კანონი უკრძალავდა ქმრის თავის დანებებას და თუ [illegible] და [illegible] გააბედინებდა მას ამ ბოროტებას, თუ ცოლი დაანებებდა თავს ქმარს, მაშინ მთელი (და არა ნახევარი) სისხლი უნდა გადაეხადა მისთვის (იქვე მუხ ლგ.) ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, რომ ასეთი საბუთი, როგორიც მრუშება და ღალატი არის, სრულს ნებას აძლევდა ქმარს დაეტოვებინა ცოლი (იქვე მუხ. კზ., ეგრეთვე მზ, სადაც სჯაა მღვდლის ცოლის მრუშებაზე), შევნიშნავთ მხოლოდ, რომ კანონი არას ამბობდა ქმრის ღალატზედ, მრუშებაზედ და ეს ალბად იმიტომ — ქმარმა რამდენიც უნდა იმრუშოს, ცოლს რა დარდი და დავა აქვსო... მართალია, მრუშობის ჩადენა ძვირად უღირდა დამნაშავე კაცს (მაგ. აზნაურს თორმეტ ათას თეთრად, მუხ. კზ, კთ) და ეს გარემოება უშლიდა

---

*) აქ შევნიშნავთ, რომ ძველი რომაელთ უფლებაც, ზოგიერთა შემთხვევაში, უკრძალავდა დედა-კაცს მოწმობას. ეს იმიტომ, რომ მოწამეს ძალით (самоуправно) უნდა დაემტკიცებინა თავისი მოწმობა, დაჰჭმარებოდა მას, ვისიც მოწამე იყო. და დედა-კაცს, როგორც ფიზიკურად სუსტს არსებას, ხომ არ შეეძლო ძალა ეხმარა.

[55]) К. Побѣдоносцевъ, стр. 84.

*) პირველ წერილში მცირე შეცდომა მოგვივიდა; ხელთ-ნაწერში (ეკუთვნის «წერა-კითხვის საზოგადოებას») აღბუღას სამართალს აკლია რამდენიმე მუხლი, კზ—მზ. აქ ვასწორებთ შეცდომას, რადგანაც ხელში გვაქვს სხვა ეგზემპლიარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაშემწემ ბ. ალშიბაიამ. ეს გახლდათ, თუ არ ვსცდები, 1879 წელს; მას აქედ ბევრი იმეცადინა ამ პატივცემულმა პირმა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ერთი ხელი ყველგან სუსტი და უღონოა და ამას გარდა მრავალი დაბრკოლებანიც დახვდა წინ. ასე მოუვიდა ჩვენს სკოლაზე მზრუნველს და გულ-შემატკივარს. მის მაგიერ, რომ ყველას თანაგრძნობა და შემწეობა გაეწიათ ბ. ალშიბაიასთვის ამ ყოვლად-კეთილსა დამისაბაძავ საქმეში, მას თითქმის ყველა ხელს უცარავდა. აქ მე ვამბობ იმ პირებზე, რომელთაც განათლება არსად მიუღიათ, მაგრამ წერა-კითხვა უსწავლიათ და მითი კუდა-ბზიკაობენ. აი, ამ გვარი კუდა-ბზიკაებისაგან შესდგება ის ზღუდე, რომელიც ელობებოდა და კიდეც ელობება ჩვენი სკოლის საქმეს.

მერაბა.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

სექტემბრის 5-ს.

**ბერლინი.** დღეს გათავდა ხალხთა შორისი ს ტელეგრაფო კონფერენციის სხდომები; კონფერენციამ გადასწყვიტა—დაკლებულ იქმნეს ხალხთა შორისი ტარიფი. შემდეგი კონფერენცია პარიჟში მოხდება.

**ვენა.** ავსტრიის იმპერატორა პირველად ეწვია ბოსნიას. მას შემოეგებნენ აღტაცებული მცხოვრებნი, რომელთაც დაჰპირდა იმპერატორი, რომ მალე მოივლის სრულიად ბოსნიას.

**მადრიდი.** ხმებია, რომ ინგლისს ჰსურსო შუამავლობა გასწიოს გერმანიასა და ესპანიის შორის.

**სტამბოლი** ბრიტანიის საგანგებო ელჩის მოლაპარაკებას პორტასთან, როგორც სჩანს, ის შედეგი ექმნება, რომ ამ ელჩს თან გაჰყვება ინგლისში ოსმალეთის მისია.

სომხეთა დეპუტაცია ლონდონს მიემგზავრება. დეპუტაციას ჰსურს სთხოვოს ინგლისს გავლენა იხმაროს პორტაზე, რომ სომხეთისათვის შეპირებული რეფორმანი სისრულეში იქმნენ მოყვანილნი.

სექტემბრის 6-ს.

**პეტერბურგი.** გაზეთები იწერებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ჯანმრთელობა იმდენად გამოკეთდა, რომ იგი თავის სოფელში რიაზანის გუბერნიაში საქმობს არა ნაკლებ 6 საათისა დღეში. უმთავრესი ყურადღება გრაფისა მიპყრობილია საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებათა მოწყობაზე და განკეთებაზე. პროექტი ამ განკარგებისა შემუშავებული კახანოვის კომისიისაგან და წარ გენილი შინაგან საქმეთა სამინისტროში, თანხმად დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილობათა შეცვლილ და შევსებულ იქმნა. პროექტის ყოველ მხრივ გასასინჯავად გრ. ტოლსტოი მოიწვევდა ხოლმე თავისთან გამოცდილ ადმინისტრატორებს და მცოდნე პირებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან, თავად-აზნაურთ წინამძღოლთა, ერობის მოდგაწეთა და მემამულეთაგან. ხმა ისმის რომ ეს პროექტი წარდგენილ იქმნება სახელმწიფო რჩევაში მომავალ სესიის დროს.

ტაშკენტში მალე გაიგზავნება კომისია სხვა და-სხვა უწყებათა წარმომადგენელთაგან ეკონომიურის მხრივ შესასწავლელად ამ ქვეყნისა, რომელიც მდებარეობს ტაშკენტისა და ორენბურგის შორის და განსაკუთრებულად რკინის გზის საშუალებისა, რომელიც უნდა გაყვანილ იქმნეს სამარყანდიდამ ტაშკენტამდე.

ნავთის გამყვანის მილის გაკეთება ბაქოდამ ბათუმამდე დაიწყება ენკენისთვის გასულს. შედგენილის ხარჯთაღრიცხვით ეს მილი დაჯდება 16 მილ. მან.

მალე სახელმწიფო რჩევაში წარდგენილ იქმნება საზოგადო ნორმალური პლანი სამრეწველო განათლებისა.

გუშინ დაბრუნდა პეტერბურგში ლესარი, რომელიც მონაწილეობდა ინგლისთან მოლაპარაკებაში ავღანეთის საზღვრების შესახებ.

**ლონდონი.** «Times» ამტკიცებს რომ კორეის შინაგან საქმეთა მინისტრი ნემეცი მოლენდორფი დათხოვნილ იქმნა კორეის მეფის მიერ იმის გამო, რომ უკანასკნელ აჯანყების დროს იგი კორეის უშიშროებისათვის ეცადა რუსეთის მფარველობა გამოეცხადებინა კორეაზე.

## ბირჟა

პეტერბურგი სექტემბრის 3.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24^1/_{32}$ $24^1/_8$ 24 |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $204^3/_8$ 205 $204^1/_4$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $252^3/_4$ $252^1/_2$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 26 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 25 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 33 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^1/_4$ და $6^1/_2$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | [illegible] |
| მეორე გამოცემისა — | $99^1/_4$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $98^1/_2$ მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $98^1/_2$ მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 98 მ. 62 კ. მყ. |
| 5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | $97^1/_2$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | 97 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | $97^1/_2$ მ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $220^1/.$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $208^1/_4$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. $89^1/_2$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 92 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

# განცხადებანი

## სათეატრო განცხადება.

ამ წლის ოკტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას

ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც [illegible] არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

საქმეთა გამგე ვ. აბაშიძე.

(10—8)

# ქალი

ზომიერის ფასით ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მეოთხე კლასამდე მიიღებს პანსიონერებსაც. ადრესი—«დროებ[ის]» რედაქციაში

(3—1)

---

მრუშების გამოაშკარავებას, დამტკიცებას და მაშასადამე ცოლის ადვილად თავდანებებასაც, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი მთელის თავის სიმძიმით თავს აწვა მარტო ცოლს და არა ქმარსაც.

ახლა თვით ვახტანგის სამართალი რომ განვიხილოთ და ცოლის დაგდებას შევეხოთ, აქაც იმას შევხვდებით, რაც ალბუღას კანონებში ვპოვეთ. ვახტანგის სამართალი მხოლოდ ქმარს აძლევს სრულს ნებას უმიზეზოდ ცოლი დაუტევოს და ცოლს კი არა— «თუ კაცმან უმიზეზოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს და თავისი მზითევი უკლებლივ მისცეს» (მუხ. ოზ; ეს მუხლი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ალბუღას სამართლის მეოცდა ათე მუხლს მცირედის განსხვავებით—ალბუღას სამართალი მთელის სისხლის მაგივრად მხოლოდ სისხლის ნახევარს თხოულობს); და კიდევ: «თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რისაც გვარისა იყოს, იმტოლი მთელი სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოვების» (მუხ. ოგ. აქაც გამეორებაა ალბ. სამ. სიტყვებისა, მუხ ლა). ასე იყო გაჩენილი ქმრისთვის, მაგრამ ცოლის მდგომარეობა კი სულ სხვა იყო. როგორც ალბუღას სამართალი (მუხ. ლგ), ისრე ვახტანგისა დედა-კაცს არ აკადრებს ქმრის დაგდებას,—«დედა-კაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და სურც ჰკადრებს, და თუ ღმერთი შერისხდეს და მისის უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედა-კაცმა ქმარს მისცეს»... (მუხ. ოდ). საყურადღებოა, რომ ცოლის უბრალოდ დაგდება, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად იყო მიღებული ალბუღას სამართალში (XIV საუკ.), მეორე კანონმდებელმაც წარსულ საუკუნის დამდეგს საჭიროდ სცნო და თავის კანონებში შეიტანა. ხანგრძლივის დროის განმავლობაში ამ მოვლენამ სრულებითაც არ დაჰკარგა თვისი ძალა. ეს მტკიცდება მით, რომ ჩვენი საეკლესიო უფლება ასე მედგრად და სასტიკად ებრძოდა ამ მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მის სწავლას. სამართალი კათალიკოზისა საშინელს სასჯელს უქადიდა დამნაშავეს უბრალოდ ცოლის დაგდებისათვის: «რომელმაც უმიზეზოდ ცოლი დააგდოს, შეჩვენებულიმცა არის წმინდათა მოციქულთაგან და სიკვდილითა განიპატიჟოს» (მუხ. კგ, კათოლიკოზის სამართლისა). არა თუ ეს საერთო სამართალი, საეკლესიო კერძო წესდებანიც ყურადღებას აქცევდენ ამ ბოროტ-მოქმედებას,—დამნაშავეს, ცოლის გამშვებს ჯარიმა უნდა გადაეხადა სასულიერო წოდების და ეკლესიის სასარგებლოდ. მაგ., 1549 წ. სამთავისის ეპისკოპოსმა გრიგოლ, შალვა ერისთავის, მთელი სამთავისის საზოგადოების და მამასახლისების თხოვნით, ამ ჯარიმად ხუთი ძროხა დასდო; მღვდელს ხარისხი უნდა ჩამორთმეოდა, თუ იგი ვისმე ჯვარს დასწერდა მოტაცებულს ქმრიან დედა-კაცზედ (церковные гуджари, стр. 49—51). თვით უკანონო კავშირისათვისაც კაცს ჯარიმა ერთმეოდა; წილკანის ეპერქიაში ჯარიმად იყო დადებული უღელი ხარი და ორი ცხვარი, (ibid стр. 23). უეჭველია, ეკლესიას, რომელიც მუდამ იმას ქადაგებდა, რომ ცოლ-ქმარი «ერთ სულ და ერთ ხორც არიან» და «საიდუმლო ესე (ქორწინება) დიდ არს», სრული უფლება ჰქონდა ებრძოლნა მაინც მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ ცხოვრება თავისას არ იშლიდა და კანონ-მდებელი იძულებული იყო ამ გარემოებისათვის ყურადღება მიექცია, უმიზეზოდ დედა-კაცის დაგდება შეეწყნარა. სად უნდა მოიძებნოს ამის საბუთი? პირველად იქ, რომ, როგორც წინად შევნიშნეთ, ჩვენშიც ცოლ-ქმრობას დიდ ხანს ჰქონდა და შერჩა პირობის ხასიათი, (договорное начало), ძველებური მიმართულება, მეორედ—ჩვენი წა სული შინაური ცხოვრება ოსმალ-სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო, და იქნება; მოსლემინების კანონმა, ჩვეულებამ ხელი შეუწყო ძველს ჩვეულებას; მოსლემინების უფლება ხომ სრულს ნებას; აძლევს კაცს როცა ჰსურს ცოლი გაუშვას [56]). მაგრამ ჩვენშიც ერთი მიზეზი ამსუბუქებდა სასტიკ კანონს— უბრალოდ ცოლის დაგდებას; ეს ის, რაც ამ კანონში ეწერა—სისხლის დაურევება და მზითვის დაბრუნება. თუმცა ფორმალურად ცოლის დაგდება ადვილი იყო, მაგრამ საქმით კი საძნელო,—ქმარს ეკონომიურად უნდა დაეკმაყოფილებინა ცოლი და ეს ხომ ყველას არ შეეძლო, ეს გარემოება ხომ იფარავდა დიაცს ქმრის უსამზღვრო-კაპრიზობიდამ... მართალია, «თუ ღმერთი გაურისხდებოდა», ცოლსაც შეეძლო დაეტოვებინა ქმარი იმავე პირობით—სისხლის დაურევებით, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს სისხლის დაურევება დაშორებით მძიმე იყო დედა-კაცისთვის, ვიდრე ქმრისათვის?

(შემდეგი იქნება)

[56]) Побѣдоносцевъ, стр. 107—109;— მხოლოდ ერთის პირობით — დაგდებულს ცოლს უნდა მისცეს მზითევი (мехръ), რომელიც ყოველთვის ადვილი არ არის. კიდეც ამიტომ ცოლის დაგდება იშვიათია, მდიდარს თუ შეუძლიან ეს საქმე.

# ლითოგრაფია
## გიორგი დემურიშვილისა

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზედ ო. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში. შესავალი ლითოგრაფიაში კლასიკური გიმნაზიის ქუჩიდამ.

**მიღებულია მსწრაფლ-მბეჭდავი ლითოგრაფიის მაშინა.**

ლითოგრაფია ზომიერ ფასად იღებს საქმეებს და მსწრაფლად ასრულებს.

(3—2)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

**ახლად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში**

# ვახუშტი
## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

**დიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.**

ნაწილი პირველი

მველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქაღზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი პ. ტატიშვილისაგან.

**თითო წიგნი ღირს სამ მანათად**

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა, (ვახუშტისა); მეორე ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და „ქართლის ცხოვრების„ ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშნვებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თკითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველიკე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებებით), იმ გვარად დ:ხატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე, ნაწილი “ვახუშტის ისტორიისა„. “მეორე ნაწილს„ საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატრობა როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(25—6)

ი. ა. ფორაქოვის და დ ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სა სახლის ქუჩაზედ).

**ისყიდება**

დაწმენდილი **პურის არაყი** სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: **Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева.**

(20—16)

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. ტფილისში. გარდა პირ და-პირი თავის დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებითი აღწერისა, „თეატრი“, თვალს ადევნებს კიდევ ჩვენს ლიტერატურასაც დრო გამოშვებით „თეატრ“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები
ბ. პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
დ კორესპონდენციები და ყოველ გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერ ლებ მათის სურათებით
ვ თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.

ზ ფელეტონი: თეატრის შესახებ სცენები. დრამატიული თხზულებანი, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებ ნი და სხვ.

ჱ. ანეგდოტები, გამოცანები, რებუსები, შაირები და სხვ.
თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერ ტურ ში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს» დუთქვეს თანაგრძნობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, **კვირაობით** ფასი «თეატრის» სა: წლით როგორც ქალაქსა, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ხუთი (5) მანეთი. ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის—მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში** „თეატრი“-ს რედაქციაში და **გრიგ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში.

**ქუთაისში**—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Театръ“. Баронская улица, домъ Тамамшевой, № 16.**

ენკენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: **Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани.** წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—5) რედაქტორი და გამომცემელი გ. ასაძე.

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წვრილი ჩაი | 1 გირ. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან 20 | ღირს | ფულს. | |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 — | | |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 — | | |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 — | | |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 — | | |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 — | | |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, — | | |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ.

(100—24)